დინამოელები ინარჩუნებენ მესამე ადგილს

კვირას, 10 სექტემბერს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოს "ნეფტიანიკის" და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით და დამთავრდა უშედეგოდ _ 0:0. თამაშის მეორე ნახევრის მე-6 წუთზე, ა. ღოღობერიძემ კარგად გამოიყენა რ. მახარაძისაგან მიღებული ბურთი და ზუსტი დარტყმით მოაქცია ბაქოელთა კარში. მე-8 წუთზე მანვე მიიღო რა ბურთი სიხარულიძისაგან, ოსტატურად მოატყუა ოთხი მცველი და მეორე გოლი გაიტანა. დარჩენილი დროის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის შეცვლა. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

"ლელო", 15 სექტემბერი 1950 წ.